ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 52

“20” თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ. 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (ს/კ. №01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლისა და „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ. 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის №24.248.289 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ. 406228283) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №22.1235.1341; 08.08.2022) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №461, 09.09.2022) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (ს/კ. №01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ. 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (ს/კ. №01.10.07.007.093) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №461 განკარგულების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის

სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულება შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა“ (ს/ნ. 406228283) უზრუნველყოს 2024 წლის 30 ივნისამდე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე